USAID-ის ეკონომიკური მმართველობის პროგრამა

ნორმატიული აქტების შემუშავების პროცესში საჯარო-კერძო დიალოგის ხარისხის შეფასება

2020-2021 წწ.

ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტი
USAID-ის ეკონომიკური მმართველობის პროგრამის გრანტი:
საჯარო და კერძო სექტორებს შორის დიალოგის ხელშეწყობა
საქართველოში მონიტორინგისა და ცნობიერების ამაღლების გზით

25 მაისი, 2022 წ.

შენიშვნა: *ამ ანგარიშის მომზადება შესაძლებელი გახდა ამერიკელი ხალხის მიერ USAID-ის მეშვეობით გაწეული დახმარების შედეგად. დოკუმენტში გამოთქმული მოსაზრებები შეიძლება არ ემთხვეოდეს აშშ-ს საერთაშორისო განვითარების სააგენტოს ან აშშ-ს მთავრობის პოზიციას.*

ნორმატიული აქტების შემუშავების პროცესში საჯარო-კერძო დიალოგის ხარისხის შეფასება 2020-2021 წწ.

25 მაისი, 2022 წ.

ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტი
USAID-ის ეკონომიკური მმართველობის პროგრამის გრანტი:
საჯარო და კერძო სექტორებს შორის დიალოგის ხელშეწყობა
საქართველოში მონიტორინგისა და ცნობიერების ამაღლების გზით

ანგარიშის ავტორები:

გივი ადეიშვილი

მარიამ საღარეიშვილი

USAID-ის ეკონომიკური მმართველობის პროგრამა

შენიშვნა: *ამ ანგარიშის მომზადება შესაძლებელი გახდა ამერიკელი ხალხის მიერ USAID-ის მეშვეობით გაწეული დახმარების შედეგად. დოკუმენტში გამოთქმული მოსაზრებები შეიძლება არ ემთხვეოდეს აშშ-ს საერთაშორისო განვითარების სააგენტოს ან აშშ-ს მთავრობის პოზიციას.*

აკრონიმები

DCFTA	ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი ვაჭრობის შესახებ შეთანხმება
GIZ	გერმანიის საერთაშორისო თანამშრომლობის საზოგადოება
IDFI	ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტი
RIA	რეგულირების გავლენის შეფასება
სემეკი	საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი ეროვნული კომისია
USAID	აშშ-ს საერთაშორისო განვითარების სააგენტო

შინაარსი

შესავალი 01

მეთოდოლოგია 02

ძირითადი მიგნებები 05

რეკომენდაციები 08

საკანონმდებლო და მუნიციპალური ნორმატიული აქტების რეიტინგი 10

შეფასება 13

დანართი I: გამოყენებული წყაროები 41

შესავალი

საჯარო და კერძო სექტორებს შორის თანამშრომლობა უაღრესად მნიშვნელოვანია ქვეყანაში არსებული ეკონომიკური გამოწვევების დროულად და ეფექტიანად გადაჭრისთვის. საჯარო-კერძო დიალოგი ხელს შეუწყობს ინკლუზიური, მტკიცებულებაზე დაფუძნებული პოლიტიკისა და საკანონმდებლო ბაზის შემუშავებას. ასევე, უზრუნველყოფს ნორმატიული აქტების ეფექტიან აღსრულებას.

წინამდებარე ანგარიშის მიზანია, შეაფასოს კერძო სექტორის ჩართულობის ხარისხი მნიშვნელოვანი ეკონომიკური ზეგავლენის მქონე კანონებისა და დადგენილებების მომზადების პროცესში. ანგარიში მოიცავს საჯარო და კერძო სექტორებს შორის დიალოგის ხარისხის შეფასებას 18 ნორმატიული აქტის მომზადების პროცესში, რომლებიც მიღებული იქნა 2020 წლის იანვრიდან 2021 წლის სექტემბრამდე პერიოდში. შესაფასებლად შეირჩა 8 კანონი, 8 კანონქვემდებარე ნორმატიული აქტი და 2 მუნიციპალიტეტის ორგანოს ნორმატიული აქტი. შერჩეული მუნიციპალიტეტებია ოზურგეთი და ზუგდიდი.

მეთოდოლოგია

ანგარიშში შეფასებულია კერძო სექტორის ჩართულობის ხარისხი სოციალურ-ეკონომიკური ზეგავლენის მქონე ნორმატიული აქტების მომზადებაში. კვლევა მოიცავს ნორმატიული აქტის საკანონმდებლო ორგანოში ინიცირებამდე პერიოდს. კვლევის მიზნებისთვის კერძო სექტორში იგულისხმება დაინტერესებული მხარეები, მაგ. ბიზნესის, სამოქალაქო საზოგადოების, ექსპერტული და აკადემიური წრეების, კვლევითი და საერთაშორისო ორგანიზაციების წარმომადგენლები.

კანონების მომზადებისას დიალოგის ხარისხის შეფასება ეფუძნება პოლიტიკის შემუშავების წინასწარ განსაზღვრულ ოთხ ეტაპს: პოლიტიკის ზოგადი მიმართულებების შემუშავების ეტაპი, კანონპროექტის ტექსტის შემუშავების ეტაპი, ინფორმაციის გავრცელება და კომენტარები საზოგადოების მხრიდან და Ex-ante რეგულირების გავლენის შეფასება.

- **პოლიტიკის ზოგადი მიმართულებების შემუშავების ეტაპი:** ამ ეტაპზე ფასდება კერძო სექტორის ჩართულობა პოლიტიკის შემუშავების თავდაპირველ პროცესში. ასევე, მზადდება კანონპროექტის კონცეფცია და თანხმდება ძირითადი პრინციპები, თუმცა, დაწყებული არ არის კანონპროექტის ტექსტის მომზადება;
- **კანონპროექტის ტექსტის შემუშავების ეტაპი:** ამ ეტაპზე ფასდება კერძო სექტორის ჩართულობა უშუალოდ კანონპროექტის ტექსტის შემუშავების პროცესში;
- **ინფორმაციის გავრცელება და კომენტარები საზოგადოების მხრიდან:** ამ ეტაპზე ფასდება კანონპროექტის ავტორების მცდელობა საჯარო გახადონ და გაავრცელონ დაგეგმილი საკანონმდებლო რეფორმა და ცვლილებები საკანონმდებლო აქტში კერძო სექტორსა და ფართო საზოგადოებაში; ასევე, ფასდება საზოგადოების მხრიდან კომენტარების მისაღებად გადადგმული ნაბიჯების შესაბამისობა და ხარისხი.
- **Ex-ante რეგულირების გავლენის შეფასება (RIA):** ამ ეტაპზე ფასდება კანონპროექტთან დაკავშირებით რეგულირების გავლენის შეფასების არსებობა და კერძო სექტორის ჩართულობა.

თითოეული ეტაპი მოიცავს 6-7 ქვეკომპონენტს, რომლებიც შეფასებულია 0-დან 3-მდე შკალით. **თავდაპირველად გამოითვლება თითოეული ეტაპის საშუალო მაჩვენებელი 0-დან 3-მდე შკალით. ხოლო შეფასების საბოლოო ქულა წარმოადგენს 4 ეტაპის საშუალო ქულას 0-დან 3-მდე შკალით.** საჯარო-კერძო დიალოგისთვის კი ხარისხის მინიჭება ხდება შემდეგი ფორმით:



კანონქვემდებარე ნორმატიული აქტების/მუნიციპალიტეტის ორგანოს ნორმატიული აქტების მომზადებისას დიალოგის ხარისხის შეფასება ეფუძნება პოლიტიკის შემუშავების წინასწარ განსაზღვრულ სამ ეტაპს:

- პოლიტიკის ზოგადი მიმართულებების შემუშავების ეტაპი;
- ნორმატიული აქტის ტექსტის შემუშავების ეტაპი;
- ინფორმაციის გავრცელება და კომენტარები საზოგადოების მხრიდან.

შენიშვნა: მეოთხე კომპონენტი, Ex-ante რეგულირების გავლენის შეფასება ბონუსად განიხილება და არ წარმოადგენს შეფასების ძირითად კომპონენტს.

თითოეული ეტაპი მოიცავს 6-7 ქვეკომპონენტს, რომლებიც შეფასებულია 0-დან 3-მდე შკალით. თავდაპირველად გამოითვლება თითოეული ეტაპის საშუალო მაჩვენებელი 0-დან 3-მდე შკალით. **საბოლოო ქულა წარმოადგენს 3 ეტაპის საშუალო ქულას 0-დან 3-მდე შკალით. რეგულირების გავლენის შეფასების არსებობის შემთხვევაში შეფასების საბოლოო ქულა წარმოადგენს 4 ეტაპის საშუალო ქულას 0-დან 3-მდე შკალით.** საჯარო-კერძო დიალოგისთვის კი ხარისხის მინიჭება ხდება შემდეგი ფორმით:



კანონების და კანონქვემდებარე ნორმატიული აქტების საშუალო ქულა საბოლოო ქულათა არითმეტიკულ საშუალოს წარმოადგენს.

საჯარო-კერძო დიალოგის ხარისხის შესაფასებლად პროექტის გუნდმა ჩაატარა 63 ინტერვიუ საკანონმდებლო აქტების ავტორებთან და კერძო სექტორის წამომადგენლებთან. ინტერვიუებისთვის გამოყენებული იყო წინასწარ მომზადებული კითხვარი, რომელიც მოიცავდა შემდეგ საკითხებს: საზოგადოების ინფორმირებულობა მიმდინარე რეფორმის

შესახებ, კერძო სექტორის ჩართულობის ხარისხი, გადაწყვეტილების მიმღებ პირთა ჩართულობა პროცესში, დოკუმენტის ხელმისაწვდომობა ფართო საზოგადოებისათვის, რეგიონში მცხოვრები საზოგადოების ჩართულობა დიალოგში, მიღებული კომენტარებისა და უკუკავშირის ხარისხი და შედეგი. ასევე, პროექტის გუნდმა მიმოიხილა საკანონმდებლო აქტებთან დაკავშირებული დოკუმენტები.

შენიშვნა: კვლევის გუნდმა შეისწავლა ჰეგიონში/თემში მცხოვრები მოსახლეობის ჩართულობის ხარისხი ყველა ნორმატიული აქტის შემუშავებაში, თუმცა, ის არ არის ასახული მიმდინარე შეფასების ქულებში. გარკვეულ შემთხვევებში ნორმატიული აქტის სპეციფიკა ზღუდავს საჯარო სექტორს ჰეგიონში მყოფი საზოგადოების ჩართულობისგან, ხოლო შეფასების ამ ფაზაში ვერ მოხდა სამართლებრივი აქტების ამ ნიშნით გამიჯვნა.

ძირითადი მიგნებები

შერჩეული 18 აქტის კვლევის შედეგად გამოიკვეთა შემდეგი მიგნებები:

- საჯარო-კერძო დიალოგის ყველაზე სუსტ რგოლს პოლიტიკის შემუშავების ეტაპი წარმოადგენს. საჯარო უწყებების მხოლოდ მესამედმა უზრუნველყო კერძო სექტორთან სრულყოფილი დიალოგი საწყის ეტაპზე.

- თითქმის ყველა ნორმატიული აქტის მომზადებამდე სახელმწიფო უწყებების წარმომადგენლებმა განაცხადეს, რომ შეისწავლეს დარგში არსებულ გამოწვევები ან/და საუკეთესო საერთაშორისო პრაქტიკა. თუმცა, განხორციელებული კვლევა არ ჩამოყალიბებულა დოკუმენტის სახით და ხშირ შემთხვევაში მიუწვდომელი იყო კერძო სექტორისთვის.

- ნორმატიული აქტის ტექსტზე მუშაობის დაწყებამდე ჩატარებული დიალოგი საჯარო და კერძო სექტორს შორის ძირითადად იყო ზოგადი ხასიათის. საჯარო სექტორი კერძო სექტორს წარუდგენდა კონცეპტუალურ საკითხებს, ხოლო კერძო სექტორი შემოიფარგლებოდა ზოგადი კომენტარებით.

- საჯარო დაწესებულებები აყალიბებდნენ სამუშაო ჯგუფებს კერძო სექტორის მონაწილეობით, მხოლოდ კანონპროექტების შემუშავების შემთხვევაში. მაგალითისათვის, სამუშაო ჯგუფები ჩამოყალიბდა ინვესტორთა საბჭოში და იუსტიციის სამინისტროს კერძო სამართლის რეფორმის განმახორციელებელ საკონსულტაციო საბჭოში.

- კანონქვემდებარე ნორმატიული აქტების შემთხვევაში პირველად ვერსიებს ძირითადად საჯარო უწყებები ამზადებდნენ, საერთაშორისო და ადგილობრივი ექსპერტების დახმარებით. ხოლო კერძო სექტორის წარმომადგენლები ერთვებოდნენ სამუშაო ვერსიის განხილვის პროცესში.

- საჯარო დაწესებულებები წინასწარ ახდენდნენ კერძო სექტორის წარმომადგენლების (ძირითადად, კომპანიების და არასამთავრობო ორგანიზაციების) იდენტიფიცირებას, რომელთაც უზიარებდნენ ნორმატიული აქტის ტექსტს და იწვევდნენ განხილვებზე.

- თითქმის ყველა ნორმატიული აქტის ტექსტზე მუშაობის ეტაპზე იყო კერძო სექტორი ჩართული კომენტარებისა და შენიშვნების გაზიარების თვალსაზრისით. ხშირ შემთხვევაში საჯარო უწყებები ღია იყვნენ კომუნიკაციისთვის და კომენტარების გათვალისწინება/გაუთვალისწინებლობის შესახებ გადაწყვეტილებებს იღებდნენ კერძო სექტორთან კომუნიკაციის შედეგად. თუმცა, რამდენიმე ნორმატიული აქტის მომზადებისას საჯარო უწყება ნაკლებად იყო შენიშვნების გასათვალისწინებლად მზად.

- საჯაროობის უზრუნველყოფის მიზნით ყველა საჯარო დაწესებულებას დანერგილი აქვს ან ნერგავს ნორმატიული აქტის სამუშაო ვერსიის ვებგვერდზე გამოქვეყნების პრაქტიკას. გარდა ამისა, საბოლოო ვერსიები კერძო სექტორთან იგზავნება ელ. ფოსტით.
- თითქმის ყველა საჯარო უწყებამ მოაწყო სულ მცირე ერთი საჯარო-კერძო დიალოგი ნორმატიული აქტის საბოლოო ვერსიის განსახილველად. თუმცა, დამატებითი, პროაქტიული ზომებით რამდენიმე უწყება გამოირჩეოდა.
- საჯარო დაწესებულებები უკუკავშირისთვის იყენებდნენ როგორც ზეპირ, ისე წერილობით მეთოდს. კერძო სექტორისთვის საჯარო უწყების დასაბუთება ყოველთვის დამაკმაყოფილებელი არ იყო. ხშირ შემთხვევაში დეტალური უკუკავშირის ნაცვლად კერძო სექტორი პირდაპირ განახლებულ ვერსიებს იღებდა.
- კერძო სექტორმა დადებითად შეაფასა საჯარო სექტორის ღიაობა ნორმატიული აქტების განხილვის დროს. თუმცა, რიგ შემთხვევებში, უარყოფითად შეაფასა შენიშვნების გათვალისწინებისთვის მზაობა.
- კერძო სექტორის ჩართულობა და ინტერესი განსხვავდებოდა თემატიკის მიხედვით. რიგ შემთხვევებში, საჯარო სექტორის პროაქტიულობის მიუხედავად, კერძო სექტორი გააქტიურდა ნორმატიული აქტის ძალაში შესვლის შემდეგ.
- რეგულირების გავლენის შეფასება მომზადდა სამ კანონზე და სამ კანონქვემდებარე ნორმატიულ აქტზე. RIA-ს მოუმზადებლობის მთავარ მიზეზად საქართველოს კანონმდებლობის ევროპულ კანონმდებლობასთან დაახლოების ვალდებულება სახელდებოდა. ნაკისრი ვალდებულება დღის წესრიგიდან ხსნიდა ნორმატიული აქტის მიღება/არმიღების საკითხს.
- საჯარო დაწესებულებების მცირე ნაწილმა გამართა კერძო და საჯარო სექტორებს შორის დიალოგი მთელი ქვეყნის მასშტაბით, დანარჩენები კონცენტრირებული იყვნენ თბილისზე. ნორმატიული აქტების სპეციფიკა ზოგჯერ ზღუდავს საჯარო სექტორს რეგიონში მყოფი საზოგადოების ჩართულობისგან, თუმცა, ნორმატიული აქტები, რომლებიც ეხება ქვეყნის ყველა მოქალაქეს საჭიროებს მათ ინფორმირებულობას.
- ყველა შეფასებული აქტის საჯარო განხილვაში ჩართული იყვნენ გადაწყვეტილების მიმღები პირები, ეს შესაძლოა ყოფილიყო მაღალი რგოლის მენეჯმენტი, ან საშუალო რგოლის მენეჯმენტი გადაწყვეტილების მიღების მანდატით.
- კერძო სექტორიდან დიალოგში ძირითადად ჩართული იყვნენ კომპანიები, დარგობრივი ასოციაციები და ექსპერტები. დიალოგში ნაკლებად იყვნენ ჩართული აკადემიური წრეები, სტუდენტები.

- შერჩეულ მუნიციპალიტეტებში მოხდა არსებული გამოწვევების ანალიზი ადგილობრივ კერძო სექტორთან კომუნიკაციის შედეგად. თუმცა, კერძო სექტორი ნაკლებად იყო ჩართული მუნიციპალიტეტის ორგანოს ნორმატიული აქტის ტექსტზე მუშაობის პროცესში.
- მუნიციპალიტეტებში ძირითადად საჯაროდ განიხილება ადგილობრივი ბიუჯეტის პროექტი და მისი თანმდევი დადგენილებები, სხვა ადგილობრივი ნორმატიული აქტების შემთხვევაში ნაკლებად არის დიალოგი უზრუნველყოფილი.
- შეფასებული ნორმატიული აქტების შემუშავების ვადა მერყეობს 0-8 წლამდე.

რეკომენდაციები

- საჯარო სექტორმა კერძო სექტორთან დიალოგი უნდა დაიწყოს პოლიტიკის დაგეგმვის ეტაპზე. ხშირ შემთხვევაში საკანონმდებლო რეფორმები/ცვლილებები გამომდინარეობს ქვეყნის სტრატეგიული მიზნებიდან, სწორედ ამიტომ, მნიშვნელოვანია კერძო სექტორის მონაწილეობა პოლიტიკის დაგეგმვის, სტრატეგიებისა და გზამკვლევების შემუშავების დროს.
- აუცილებელია მნიშვნელოვანი სოციალურ-ეკონომიკური გავლენის მქონე აქტების რეგულირების გავლენის შეფასება. აღნიშნული ეხება ასოცირების შეთანხმების ფარგლებში დასაახლოებელ კანონმდებლობასაც, რადგან შეთანხმება ითვალისწინებს ქართული კანონმდებლობის ჰარმონიზაციას ევროპულ კანონებთან, რაც კანონმდებლობის ქართულ რეალობაზე მორგების საშუალებას იძლევა.
- ამასთან ერთად, რეგულირების გავლენის შეფასება უნდა მომზადდეს ნორმატიული აქტის ტექსტზე მუშაობის დაწყებამდე, რათა RIA-ზე დაყრდნობით ჩამოყალიბდეს ნორმატიული აქტის ძირითადი პრინციპები.
- საჯარო დაწესებულებების მიერ მომზადებული ანალიტიკური დოკუმენტები (RIA, პრობლემის ანალიზის დოკუმენტი, საერთაშორისო პრაქტიკის კვლევა, ა.შ.) უნდა იყოს საჯარო და ხელმისაწვდომი კერძო სექტორის ყველა წარმომადგენლისათვის.
- ინკლუზიურობის უზრუნველყოფის მიზნით, პოლიტიკის დაგეგმვის ეტაპზე საჯარო უწყებებმა უნდა მოახდინონ კერძო სექტორის იმ წარმომადგენლების იდენტიფიცირება და ინფორმირება, რომელსაც პირდაპირ ან ირიბად ეხება საკანონმდებლო რეფორმა/ცვლილება.
- მაღალი ხარისხის დიალოგის წარმოებისათვის საჯარო სექტორმა უნდა ჩამოაყალიბოს სამუშაო ჯგუფები საჯარო და კერძო სექტორის მონაწილეობით, რომლის ფარგლებშიც მოხდება ნორმატიული აქტების მომზადება. აღნიშნული გაზრდის ორივე მხარის პასუხისმგებლობას და ანგარიშვალდებულებას.
- საჯარო დაწესებულებებმა უნდა უზრუნველყონ კომენტარების მიღებისა და უკუკავშირის სისტემატიზირებული პროცესი.
- საჯარო უწყებებმა პროაქტიულად უნდა გაავრცელონ ნორმატიული აქტების საბოლოო ვერსიები და უზრუნველყონ საზოგადოების ფართო სპექტრის ინფორმირება.
- ნორმატიული აქტების საჯარო განხილვები უნდა ჩატარდეს როგორც თბილისში, ისე რეგიონებში.

- უნდა მოხდეს რეგიონში მცხოვრები საზოგადოების ცნობიერების ამაღლება საჯარო-კერძო დიალოგის თაობაზე და დიალოგში მათი მონაწილეობის მნიშვნელობაზე.
- ასევე, უნდა მოხდეს აკადემიური წრეების, სტუდენტების, ექსპერტების, საზოგადოების სხვა ჯგუფების ცნობიერების ამაღლება დიალოგში მათი ჩართულობის მნიშვნელობაზე.
- ნორმატიული აქტები უნდა მომზადდეს გონივრულ ვადებში, რათა არ მოხდეს დროისა და ფულადი რესურსის არაეფექტიანად ხარჯვა.

საკანონმდებლო და მუნიციპალური ნორმატიული აქტების რეიტინგი

გრაფიკი 1: კანონების/კანონქვემდებარე ნორმატიული აქტების საერთო რეიტინგი

წყარო: IDFI

კანონების და კანონქვემდებარე ნორმატიული აქტების ჯამური საშუალო მაჩვენებელი 1.78[1]-ს შეადგენს. აღნიშნული ჩვენი მეთოდოლოგიით განსაზღვრულ საშუალო შეფასებაში მოიაზრება. შვიდი აქტი ფასდება მაღალი შეფასებით, რვა საშუალო შეფასებით და ერთი დაბალი შეფასებით.

კანონების შეფასების საშუალო მაჩვენებელი 1.75[2] -ს შეადგენს. აღნიშნული ჩვენი მეთოდოლოგიით განსაზღვრულ საშუალო შეფასებაში მოიაზრება. ოთხი კანონი ფასდება მაღალი შეფასებით, სამი საშუალო შეფასებით და ერთი დაბალი შეფასებით. „მეწარმეთა შესახებ" კანონმა ყველაზე მაღალი შეფასება მიიღო (2.67).

გრაფიკი 2: კანონების რეიტინგი



წყარო: IDFI

კანონქვემდებარე ნორმატიული აქტების შეფასების საშუალო მაჩვენებელი 1.81[3]-ს შეადგენს. აღნიშნული ჩვენი მეთოდოლოგიით განსაზღვრულ საშუალო შეფასებაში მოიაზრება. სამი კანონქვემდებარე ნორმატიული აქტი ფასდება მაღალი შეფასებით და ხუთი საშუალო შეფასებით. კანონქვემდებარე ნორმატიულმა აქტმა „სავალუტო ბაზრის მონაწილეთა საქმიანობის წესი" ყველაზე მაღალი შეფასება მიიღო (2.44) კანონქვემდებარე ნორმატიულ აქტებს შორის.

1 აქტების საბოლოო ქულების არითმეტიკული საშუალო

2 კომპონენტების არითმეტიკული საშუალო

3 კომპონენტების არითმეტიკული საშუალო

გრაფიკი 3: კანონქვემდებარე ნორმატიული აქტების რეიტინგი



მუნიციპალიტეტის ორგანოს ნორმატიული აქტების შეფასების საშუალო მაჩვენებელი 1.24[4]-ს შეადგენს. აღნიშნული ჩვენი მეთოდოლოგიით განსაზღვრულ საშუალო შეფასებაში მოიაზრება.

გრაფიკი 4. მუნიციპალიტეტის ორგანოს ნორმატიული აქტების რეიტინგი



[4] კომპონენტების არითმეტიკული საშუალო

შეფასება

1. კანონების შეფასება

კანონი: „მეწარმეთა შესახებ“ **ავტორი: საქართველოს პარლამენტის წევრები: მიხეილ სარჯველაძე, თეა წულუკიანი, შალვა პაპუაშვილი** **ნომერი: 875-Vრს-Xმპ** **თარიღი: 02/08/2021**	**2.67**

ინფორმაცია კანონპროექტზე: ახალ „მეწარმეთა შესახებ“ კანონზე მუშაობის დაწყების საჭიროება წარმოიქმნა მის წინამორბედ კანონში არსებული ისეთი დაურეგულირებელი საკითხების გამო, როგორიცაა კორპორატიული მმართველობა, ინტერესთა კონფლიქტი, ლიკვიდაცია და დავების გადაწყვეტა და სხვ. გარდა ამისა, საქართველოსა და ევროკავშირს შორის გაფორმებული ასოცირების შეთანხმებით გათვალისწინებული იყო ქართული კანონმდებლობის ჰარმონიზაცია ევროკავშირის კორპორატიულ სამართალთან. ახალი კანონით წესრიგდება მეწარმის სამართლებრივი ფორმები, დაფუძნების, რეგისტრაციისა და საქმიანობის განხორციელებასთან დაკავშირებული საკითხები და საქმიანობის შეწყვეტა.	
პოლიტიკის ზოგადი მიმართულებების შემუშავება კერძო სექტორი ინფორმირებული იყო მეწარმეთა შესახებ ახალი კანონის მომზადების საჭიროების თაობაზე, ერთი მხრივ ასოცირებით ნაკისრი ვალდებულებებიდან გამომდინარე, მეორე მხრივ კი, დონორი ორგანიზაციების (USAID, GIZ) მხარდაჭერით ორგანიზებული შეხვედრებიდან. აღნიშნულ შეხვედრებზე განიხილებოდა მოქმედი კანონის ნაკლოვანებები და ახალი კანონის ძირითადი პრინციპები და ამოცანები. ამასთან ერთად, იუსტიციის სამინისტროს მიერ შემუშავდა საჭიროებების კვლევა, თუმცა რესპოდენტ კერძო სექტორის წარმომადგენლებს არ ჰქონდათ ინფორმაცია ამ დოკუმენტის თაობაზე. ამ ეტაპზე არ ჩატარებულა კონსულტაციები რეგიონებში.	**2.5**

კანონპროექტის ტექსტის შემუშავება კანონპროექტის პირველადი დრაფტი შეიმუშავა იუსტიციის სამინისტროში ჩამოყალიბებულმა სამუშაო ჯგუფმა, სადაც კერძო სექტორიც იყო წარმოდგენილი. პირველადი დრაფტის მომზადების შემდეგ ინვესტორთა საბჭოს ბაზაზე ჩამოყალიბდა კერძო სექტორის წარმომადგენლებით დაკომპლექტებული სამუშაო ჯგუფი, რომლის ფარგლებშიც ინტენსიურად განიხილებოდა კანონპროექტის ვერსიები და მზადდებოდა შესაბამისი შენიშვნები. კანონპროექტის განხილვებს ხელს უწყობდნენ დონორი ორგანიზაციებიც. კანონპროექტზე კერძო სექტორის მიერ მომზადებული შენიშვნები განხილული იქნა საჯარო უწყების მიერ და მათი დიდი ნაწილი იქნა გათვალისწინებული. რესპოდენტებმა ხაზი გაუსვეს საჯარო სექტორის ღიაობას პროცესში.	**2.7**
ინფორმაციის გავრცელება და კომენტარები საზოგადოების მხრიდან კანონპროექტის საბოლოო სამუშაო ვერსია ხელმისაწვდომი იყო ფართო საზოგადოებისათვის, იგი გამოქვეყნებული იყო საქართველოს საკანონმდებლო მაცნეზე. ამასთან ერთად, ჩატარდა კანონპროექტის რამდენიმე საჯარო განხილვა, თუმცა არ ჩატარებულა შეხვედრები რეგიონებში. საჯარო განხილვებზე კერძო სექტორის წარმომადგენლებმა გააჟღერეს მათი შენიშვნები/კომენტარები, რასაც მოჰყვა მსჯელობა საჯარო-კერძო სექტორების მიერ. რესპოდენტებმა ხაზი გაუსვეს საჯარო სექტორის მზაობას და ღიაობას კომუნიკაციისათვის.	**3.0**
რეგულირების გავლენის შეფასება კანონის რეგულირების გავლენა შეფასდა კანონპროექტზე მუშაობის პარალელურად, საბოლოო ვერსიის მომზადებამდე. RIA მომზადდა კვლევითი ორგანიზაციის მიერ, ხოლო საჯარო და კერძო სექტორი მომზადების პროცესში ჩართული იყო ინტერვიუებსა და RIA-ს შედეგების განხილვაში. RIA-ს მომზადების შემდეგ ჩატარდა მისი შედეგების საჯარო განხილვა. დოკუმენტი ხელმისაწვდომია ყველა დაინტერესებული მხარისათვის.	**2.5**

კანონი: „რეაბილიტაციისა და კრედიტორთა კოლექტიური დაკმაყოფილების შესახებ"

ავტორი: საქართველოს იუსტიციის სამინისტრო

ნომერი: 7165-Iს

თარიღი: 18/09/2020

2.33

ინფორმაცია კანონპროექტზე:

საქართველო ყოველთვის ერთ-ერთ მოწინავე პოზიციაზეა მსოფლიო ბანკის „ბიზნესის კეთების ანგარიშში" (Doing Business), თუმცა გადახდისუუნარობის საკითხის მოგვარება უმთავრეს გამოწვევად რჩება. სწორედ გადახდისუუნარობის საქმის წარმოების ხარვეზების აღმოფხვრა და რეაბილიტაციის წამახალისებელი მექანიზმების შექმნა წარმოადგენს კანონპროექტის მიზანს. კანონის მიზანია კრედიტორთა კოლექტიური უფლებებისა და ინტერესების დაცვასთან ერთად საწარმოების სიცოცხლისუნარიანობის შენარჩუნება. ამასთან ერთად, კანონი განსაზღვრავს ახალ პროფესიას „გადახდისუუნარობის პრაქტიკოსს", რამაც უნდა უზრუნველყოს რეაბილიტაციისა და გაკოტრების პროცესის წარმართვის გაუმჯობესება. კანონპროექტზე მუშაობა 2016 წელს დაიწყო, მანამდე კი საქართველოს გადახდისუუნარობის სისტემა, ხარვეზების გამოვლენის მიზნით, რამდენჯერმე შეფასდა საერთაშორისო ექსპერტების მიერ.

პოლიტიკის ზოგადი მიმართულებების შემუშავება

2.5

პოლიტიკის დაგეგმვის ეტაპი წარიმართა GIZ-ის სამართლის პროგრამისა და ევროკავშირის მიერ თანადაფინანსებული პროექტის „სამოქალაქო და ადმინისტრაციული სამართლის განვითარების ხელშეწყობა" ფარგლებში. ამ ეტაპზე შეიქმნა საჯარო და კერძო სექტორის წარმომადგენლებით დაკომპლექტებული სამუშაო ჯგუფი. სამუშაო ჯგუფის წევრმა პრაქტიკოსმა იურისტებმა გააანალიზეს საერთაშორისო გამოცდილება, რის მიხედვითაც შემუშავდა კონცეფციები რიგ საკითხებთან დაკავშირებით. აღნიშნული კონცეფციები საფუძვლად დაედო გადახდისუუნარობის კანონპროექტს. მომზადებული კონცეფციები არ იყო საჯაროდ ხელმისაწვდომი ფართო საზოგადოებისთვის.

სამუშაო ჯგუფი პერიოდულად იკრიბებოდა კონცეპტუალური საკითხების განსახილველად. სამუშაო ჯგუფი ამზადებდა კომენტარებს, რომელთა

წარდგენა და განხილვა ხდებოდა გადაწყვეტილების მიმღებ პირებთან. ამასთან ერთად, ჩატარდა კონსულტაციები კომერციულ ბანკებთან და სხვადასხვა ასოციაციებთან.	
კანონპროექტის ტექსტის შემუშავების ეტაპი კერძო სამართლის რეფორმის უწყებათაშორის საკომისიო საბჭოში, რომლის სამდივნო იუსტიციის სამინისტროა, ჩამოყალიბდა სამუშაო ჯგუფი რომელმაც შეიმუშავა კანონპროექტის პირველადი ვერსია. სამუშაო ჯგუფი დაკომპლექტდა საჯარო მოხელეებითა და ექსპერტებით, რომლებიც წარმოადგენდნენ კერძო სექტორსა და ასოციაციებს. პროცესს ზედამხედველობას უწევდნენ უცხოელი ექსპერტები. კანონპროექტზე მუშაობის დაწყებამდე ჩატარდა საუკეთესო საერთაშორისო პრაქტიკის კვლევა, თუმცა, დოკუმენტები არ იყო საჯაროდ ხელმისაწვდომი. ასევე, სამუშაო ჯგუფმა, შეიმუშავა შესაძლო დაინტერესებულ მხარეთა სია, რომელთაც პერიოდულად უგზავნიდნენ განახლებულ ვერსიებს კომენტარებისთვის და იწვევდნენ სამუშაო შეხვედრებზე. კერძო სექტორის კომენტარები ძირითადად განიხილებოდა სამუშაო შეხვედრებზე, რომელშიც მონაწილეობდნენ გადაწყვეტილების მიმღები პირები.	**2.7**
ინფორმაციის გავრცელება და კომენტარები საზოგადოების მხრიდან კანონპროექტის სამუშაო ვერსია არ გამოქვეყნებულა საჯაროდ, თუმცა, კომენტარების მიღების მიზნით გავრცელდა წინასწარ იდენტიფიცირებულ დაინტერესებულ მხარეებში. ასევე, კანონპროექტის ინიცირებამდე მოხდა საბოლოო ვერსიის წარდგენა კერძო სექტორის წარმომადგენლებისათვის. მსჯელობა კერძო სექტორისგან მიღებული კომენტარების გათვალისწინებაზე მიმდინარეობდა სამუშაო ჯგუფის ფარგლებში, რომელშიც ჩართული იყვნენ გადაწყვეტილების მიმღები პირები.	**2.5**
რეგულირების გავლენის შეფასება კანონის რეგულირების გავლენა შეფასდა კანონპროექტზე მუშაობის პარალელურად, საბოლოო ვერსიის მომზადებამდე. RIA მომზადდა კვლევითი ორგანიზაციის მიერ, ხოლო საჯარო და კერძო სექტორი მომზადების პროცესში ჩართული იყო ინტერვიუებისა და კონსულტაციების გზით. არ ჩატარებულა RIA-ს შედეგების საჯარო განხილვა და არ დაგზავნილა კერძო სექტორთან კომენტარების მიღების მიზნით. თუმცა, საბოლოო დოკუმენტი ხელმისაწვდომია ყველა დაინტერესებული მხარისათვის.	**1.7**

კანონი: „საინვესტიციო ფონდების შესახებ“ **ავტორი: საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო, საქართველოს ეროვნული ბანკი** **ნომერი: 6805-რს** **თარიღი: 14/07/2020**	**2.10**

ინფორმაცია კანონპროექტზე:

2013 წელს მიღებულ კანონში „საინვესტიციო ფონდების შესახებ“ არსებული რიგი ბუნდოვანი დებულებები აფერხებდა კაპიტალის ბაზრის განვითარებას. ამასთან ერთად, უნდა მომხდარიყო არსებული კანონმდებლობის დაახლოება ევროპულ კანონმდებლობასთან და ფასიანი ქაღალდების კომისიების საერთაშორისო ორგანიზაციის მიერ დადგენილ პრინციპებთან. საინვესტიციო ფონდების მიმართულებით განსახორციელებელი ცვლილებების საჭიროება აღნიშნულია 2015 წელს შემუშავებულ „საქართველოს კაპიტალის ბაზრის დიაგნოსტიკურ კვლევასა“ და 2016 წელს შემუშავებული „კაპიტალის ბაზრის განვითარების სტრატეგიაში“. ორივე დოკუმენტი საჯაროა და ხელმისაწვდომია დაინტერესებული მხარეებისათვის. სწორედ ამიტომ, შემუშავდა ახალი კანონი, რომლის მიზანია საინვესტიციო ფონდების და აქტივების მმართველი კომპანიების დაფუძნების, მართვის, ინვესტიციების განხორციელების საკითხების მოწესრიგება.

პოლიტიკის ზოგადი მიმართულებების შემუშავება — 2.3

დაინტერესებული მხარეები ინფორმირებული იყვნენ მოსალოდნელი რეფორმის თაობაზე. საჯარო უწყების მიერ მოხდა წინამორბედი კანონის ხარვეზების ანალიზი და საუკეთესო საერთაშორისო პრაქტიკის შესწავლა, თუმცა, არ შემუშავებულა და გასაჯაროვებულა სრულყოფილი ანალიტიკური დოკუმენტი. კანონპროექტის შემუშავების ამ ეტაპზე მომზადდა კანონპროექტის კონცეფცია, რომელიც განხილული იქნა კერძო სექტორის წარმომადგენლებთან ერთად საჯარო-კერძო დიალოგის ფარგლებში. ამ ეტაპზე არ ჩატარებულა კონსულტაციები რეგიონებში.

კანონპროექტის ტექსტის შემუშავება — 2.8

კანონპროექტის სამუშაო ვერსიის მომზადების მიზნით ინვესტორთა საბჭოში შეიქმნა საჯარო და კერძო სექტორის წარმომადგენლებით

დაკომპლექტებული სამუშაო ჯგუფი. სამუშაო ჯგუფი ყოველკვირეულ რეჟიმში განიხილავდა და ამუშავებდა კანონპროექტის ტექსტს. სამუშაო ვერსიების გაზიარება ხდებოდა როგორც სამუშაო ჯგუფის წევრებისათვის, ისე არაწევრი დაინტერესებული მხარეებისთვისაც. საჯარო სექტორმა მიიღო არაერთი კომენტარი კერძო სექტორის მხრიდან. კომენტარების ნაწილი გაითვალისწინეს, ხოლო გაუთვალისწინებლობის შემთხვევაში ხდებოდა არგუმენტირებული უკუკავშირი. რესპოდენტებმა ხაზი გაუსვეს საჯარო სექტორის მზაობას და ღიაობას კომუნიკაციისათვის.	
ინფორმაციის გავრცელება და კომენტარები საზოგადოების მხრიდან ინიცირებამდე კანონპროექტი არ გამოქვეყნებულა ვებგვერდზე, თუმცა ხელმისაწვდომი იყო ყველა დაინტერესებული კერძო სექტორის წარმომადგენლებისათვის. კანონპროექტის ინიცირებამდე შედგა რამდენიმე შეხვედრა საჯარო-კერძო დიალოგის ფორმატში. კანონპროექტის შემუშავების ამ ეტაპზე კერძო სექტორის კომენტარები იყო ნაკლები, რადგან კანონპროექტზე მუშაობაში ჩართული იყო თითქმის ყველა დაინტერესებული მხარე და ძირითად საკითხებზე კონსესუსი იყო მიღწეული. რესპოდენტებმა ხაზი გაუსვეს საჯარო სექტორის მზაობას და ღიაობას კომუნიკაციისათვის.	**2.8**
რეგულირების გავლენის შეფასება რეგულირების გავლენის შეფასების დოკუმენტი არ მომზადებულა. განმარტებითი ბარათი შეიცავს გარკვეულ ინფორმაციას ბიუჯეტზე კანონპროექტის შესაძლო გავლენის შესახებ. ამასთან ერთად, ეკონომიკის სამინისტრომ შეიმუშავა არასრული RIA, თუმცა, იგი არ იყო ხელმისაწვდომი დაინტერესებული მხარეებისთვის.	**0.5**

კანონი: „ფინანსური გირავნობის, ურთიერთგაქვითვისა და დერივატივების შესახებ“

ავტორი: საქართველოს ეროვნული ბანკი

ნომერი: 5672-რს

თარიღი: 20/12/2019

2.10

ინფორმაცია კანონპროექტზე:

კანონის მიღება განპირობებულია ერთი მხრივ ქართული კანონმდებლობის ევროპულ დირექტივებთან დაახლოებით, ხოლო მეორე მხრივ, საქართველოში ფინანსური და კაპიტალის ბაზრების განვითარების ხელშეწყობის მიზნით. კანონმდებლობით შემოდის დერივატივების, ურთიერთგაქვითვის შეთანხმების, ფინანსური გირავნობის და ფინანსური ინსტრუმენტის ახალი განმარტებები. ასევე, კანონი უზრუნველყოფს გარანტიებს გარიგების მხარეების უფლებების დაცვის თვალსაზრისით.

პოლიტიკის ზოგადი მიმართულებების შემუშავება

2.8

დაინტერესებულ მხარეებს ჰქონდათ ინფორმაცია მოსალოდნელი ცვლილებების თაობაზე, რადგან პროექტზე მუშაობის დაწყებამდე ეროვნულმა ბანკმა გამართა კონსულტაციები კერძო სექტორის წარმომადგენლებთან. არსებული გამოწვევების ანალიზისათვის ეროვნულმა ბანკმა გამოკითხვა ჩაატარა კერძო სექტორის წარმომადგენლებში, სპეციალური კითხვარის დაგზავნით. არსებული გამოწვევების ანალიზის და კანონპროექტის კონცეფციის გაცნობის მიზნით გაიმართა შეხვედრა საჯარო და კერძო სექტორს შორის. შეხვედრებზე გამოთქმული კერძო სექტორის მოსაზრებები გათვალისწინებული იქნა პირველად სამუშაო ვერსიაში.

კანონპროექტის ტექსტის შემუშავება

2.7

ეროვნულ ბანკში ჩამოყალიბდა სამუშაო ჯგუფი კერძო სექტორის მონაწილეობით, რომლის ფარგლებშიც შემუშავდა კანონპროექტის სამუშაო ვერსია და ინტენსიურად მიმდინარეობდა მისი დახვეწა. ტექსტზე მუშაობის პროცესში საჯარო სექტორმა მიიღო არაერთი კომენტარი კერძო სექტორისგან. კომენტარები ძირითადად განიხილებოდა სამუშაო ჯგუფის ფორმატში, სადაც ხდებოდა გადაწყვეტილების არგუმენტირებული დასაბუთება, ხოლო გადაწყვეტილებები მიიღებოდა მხარეთა შეთანხმებით.

ინფორმაციის გავრცელება და კომენტარები საზოგადოების მხრიდან საბოლოო სამუშაო ვერსია არ გამოქვეყნებულა საჯაროდ, თუმცა დაეგზავნა ყველა დაინტერესებულ კერძო სექტორის წარმომადგენელს და ჩატარდა მისი საჯარო განხილვა. კანონპროექტის შემუშავების ამ ეტაპზე კომენტარები თითქმის ამოწურული იყო, რადგან კანონპროექტზე მუშაობისას მიმდინარეობდა აქტიური კომუნიკაცია საჯარო-კერძო სექტორებს შორის და განიხილებოდა კომენტარები.	**2.8**
რეგულირების გავლენის შეფასება რეგულირების გავლენის შეფასების დოკუმენტი არ მომზადებულა. განმარტებითი ბარათი შეიცავს გარკვეულ ინფორმაციას არსებული კანონმდებლობის გამოწვევებისა და ბიუჯეტზე კანონპროექტის შესაძლო გავლენის შესახებ.	**0.2**

კანონი: „ენერგეტიკისა და წყალმომარაგების შესახებ“ **ავტორი: ენერგეტიკული გაერთიანება, საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო, საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი ეროვნული კომისია** **ნომერი: 5646-რს** **თარიღი: 20/12/2019**	**1.48**
ინფორმაცია კანონპროექტზე: საქართველოს ევროკავშირთან ასოცირების შესახებ შეთანხმებით და 2017 წელს ენერგეტიკული გაერთიანების ქარტიაზე საქართველოს მიერთებით ენერგეტიკის სფეროში ნაკისრი ვალდებულებებიდან გამომდინარე, „ელექტროენერგეტიკისა და ბუნებრივი გაზის შესახებ“ კანონი შეიცვალა „ენერგეტიკისა და წყალმომარაგების შესახებ“ კანონით. კანონის ძირითადი მიზნებია ელექტროენერგიისა და ბუნებრივი გაზით თავისუფალი ვაჭრობისა და კონკურენციის ხელშეწყობა, გადამცემი/გამანაწილებელი საქმიანობის გამიჯვნა წარმოება/მიწოდებისაგან, ტრეიდერისა და მიმწოდებლის სტატუსის შექმნა, მარეგულირებელი კომისიის მანდატის ზრდა, ხოლო მომხმარებლებისათვის უსაფრთხო და შეუფერხებელი მიწოდების უზრუნველყოფა.	

პოლიტიკის ზოგადი მიმართულებების შემუშავება პრობლემის ანალიზის დოკუმენტი არ შემუშავებულა, თუმცა კანონპროექტზე მუშაობის დაწყებამდე საჯარო სექტორის წარმომადგენლებმა გააანალიზეს ევროპული გამოცდილება ამ სექტორში. კერძო სექტორი ინფორმირებული იყო მოსალოდნელი რეფორმის თაობაზე როგორც საჯარო, ისე არასამთავრობო სექტორის მიერ განხორციელებული აქტივობებიდან. რეფორმის განხორციელების საწყის ეტაპზე ენერგეტიკის სამინისიტროში ჩატარდა შეხვედრა, სადაც მოხდა კერძო სექტორის ნაწილისათვის კანონის ძირითადი კონცეფციების გაცნობა.	**1.7**
კანონპროექტის ტექსტის შემუშავება თავდაპირველი სამუშაო ვერსია მომზადდა ენერგეტიკული გაერთიანების ექსპერტის მიერ ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროსა და სემეკის დახმარებით, რომელიც შემდგომ დაეგზავნა კერძო სექტორის წარმომადგენლებს კომენტარებისათვის. რესპოდენტთა მიერ აღინიშნა, რომ საწყის ეტაპზე კანონპროექტის ავტორები არ იყვნენ ღია სამუშაო ვერსიისა და კომენტარების გაზიარების თვალსაზრისით. მიუხედავად ამისა, გარკვეულ ეტაპზე კერძო სექტორი ჩაერთო პროცესში და მომზადდა შენიშვნები, რომელთა განხილვა მიმდინარეობდა სამუშაო შეხვედრებზე.	**1.2**
ინფორმაციის გავრცელება და კომენტარები საზოგადოების მხრიდან კანონპროექტის საბოლოო ვერსია ხელმისაწვდომი იყო კერძო სექტორისათვის. ასევე, მოხდა მისი განხილვა კომპანიების, არასამთავრობო ორგანიზაციებისა და ექსპერტების ჩართულობით, რომელთა მიერ მომზადდა კომენტარები. შენიშვნების ნაწილი იქნა გათვალისწინებული, თუმცა გარკვეული პრინციპული საკითხები დარჩა ღია.	**2.3**
რეგულირების გავლენის შეფასება რეგულირების გავლენის შეფასება მომზადდა არა მთლიან კანონზე, არამედ ერთ-ერთ მექანიზმზე რომელსაც კანონი მოიცავს. კერძო სექტორის ნაწილს არ ჰქონდა ინფორმაცია დოკუმენტის თაობაზე და არ მიუღია მონაწილეობა მის განხილვაში. კერძო სექტორის გარკვეულ ნაწილს ჰქონდა ინფორმაცია RIA-ს თაობაზე, მათ გაუზიარეს დოკუმენტი ერთ-ერთი საჯარო-კერძო დიალოგის ჩატარებამდე.	**0.8**

კანონი: „გარემოსდაცვითი პასუხისმგებლობის შესახებ“ **ავტორი: საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო** **ნომერი: 244-IVმს-Xმპ** **თარიღი: 02/03/2021**	**1.23**
ინფორმაცია კანონპროექტზე: კანონის მიღება განპირობებული იყო ევროკავშირთან ასოცირების ხელშეკრულების ფარგლებში ქართული კანონმდებლობის ევროპულ დირექტივებთან დაახლოების ვალდებულებით. კანონის მიზანია გარემოსთვის მიყენებული ზიანის იდენტიფიცირება და მისი შერბილება/პრევენცია. ასევე, ზიანის შერბილების გეგმის შემუშავება და ზედამხედველობა, დაინტერესებული მხარეების ამ პროცესში ჩართვა. კანონის მიხედვით საწარმო რომელიც დააბინძურებს გარემოს ვალდებული იქნება გაატაროს ზიანის აღმოფხვრისთვის საჭირო ღონისძიებები, ამისათვის მას წინასწარ უნდა ჰქონდეს მობილიზებული ფინანსური რესურსი. გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტი შეაფასებს გარემოზე მიყენებულ ზიანს და მონიტორინგს გაუწევს ზიანის გამოსასწორებელი ღონისძიებების გეგმის შესრულებას.	
პოლიტიკის ზოგადი მიმართულებების შემუშავება კერძო სექტორის ნაწილი ინფორმირებული იყო მოსალოდნელი რეფორმის თაობაზე, ერთი მხრივ ასოცირების შესახებ შეთანხმებიდან, მეორე მხრივ, გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინიტროსთან კომუნიკაციიდან. თუმცა, საწყის ეტაპზე საჯარო კონსულტაციები არ ჩატარებულა კერძო სექტორის მონაწილეობით, არც დედაქალაქში და არც რეგიონებში. პროექტის მომზადებამდე შემუშავდა არსებული ხარვეზების ანალიზი, რომელიც არ იყო ხელმისაწვდომი კერძო სექტორისათვის.	**0.5**
კანონპროექტის ტექსტის შემუშავება კანონპროექტის პირველადი ვერსია მომზადდა უცხოელი ექსპერტების მიერ, რომელიც შემდეგ გადამუშავდა სამინისტროში შექმნილი სამუშაო ჯგუფის მიერ, რომელშიც არ მონაწილეობდა კერძო სექტორი. მხოლოდ	**1.5**

ამის შემდეგ გასაჯაროვდა დოკუმენტი კერძო სექტორისათვის. საჯარო სექტორმა კერძო სექტორის მხრიდან მიიღო კომენტარები სამუშაო ვერსიაზე, თუმცა უკუკავშირი არ იყო სისტემატიზირებული.	
ინფორმაციის გავრცელება და კომენტარები საზოგადოების მხრიდან კანონპროექტის პარლამენტში ინიცირებამდე სამუშაო ვერსია ხელმისაწვდომი იყო ფართო საზოგადოებისათვის. იგი გამოქვეყნდა საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს და სსიპ - გარემოსდაცვითი ინფორმაციისა და განათლების ცენტრის ოფიციალურ ვებგვერდებზე. ამასთან ერთად, ჩატარდა რამდენიმე საჯარო განხილვა კერძო სექტორის მონაწილეობით. საჯარო სექტორმა მიიღო როგორც წერილობითი, ისე ზეპირი კომენტარები კერძო სექტორის მხრიდან, რომელთა ნაწილი იქნა გათვალისწინებული. რესპოდენტებმა აღნიშნეს, რომ საჯარო სექტორი ღია იყო კომუნიკაციისათვის.	**2.8**
რეგულირების გავლენის შეფასება რეგულირების გავლენის შეფასების დოკუმენტი არ მომზადებულა. განმარტებითი ბარათი შეიცავს გარკვეულ ინფორმაციას არსებული კანონმდებლობის გამოწვევებისა და ბიუჯეტზე კანონპროექტის შესაძლო გავლენის შესახებ.	**0.2**

კანონი: „საქართველოს ორგანულ კანონში „საქართველოს შრომის კოდექსი“ ცვლილების შეტანის შესახებ“

ავტორი: საქართველოს პარლამენტის წევრი: დიმიტრი ცქიტიშვილი

ნომერი: 7177-Iს

თარიღი: 29/09/2020

1.17

ინფორმაცია კანონპროექტზე:

კანონპროექტში შესული ცვლილებების მიზანია შრომის კოდექსის საერთაშორისო სტანდარტებსა და ევროკავშირის კანონმდებლობასთან ჰარმონიზაცია. ცვლილებების მიზანია დასაქმებულისთვის უსაფრთხო, ჯანსაღი და სამართლიანი სამუშაო გარემოს უზრუნველყოფა. აღნიშნული ცვლილებით შრომის კოდექსით აიკრძალა სამუშაო ადგილზე ნებისმიერი ნიშნით დისკრიმინაცია, განისაზღვრა შრომითი ხელშეკრულების დადების პრინციპები, სამუშაო დრო, შვებულება, ანაზღაურება, ხელშეკრულების შეწყვეტა და მისი საფუძვლები. ცვლილებები ითვალისწინებს სსიპ შრომის ინსპექციის სამსახურის გაფართოებას და უფლებამოსილების ზრდას.

პოლიტიკის ზოგადი მიმართულებების შემუშავება

2.2

მოქმედ შრომის კოდექსში არსებული ხარვეზები აღნიშნული იყო არაერთ დოკუმენტში, მათ შორის, საჯარო სექტორის მიერ მომზადებული დოკუმენტი შრომის კოდექსის ევროპულ დირექტივებთან შესაბამისობის თაობაზე, შრომის საერთაშორისო ორგანიზაციის ანგარიშები, სახალხო დამცველის ანგარიშები, არასამთავრობო სექტორის მიერ მომზადებული კვლევები, შრომის ინსპექციის დეპარტამენტის მონიტორინგის ანგარიშები, პროფკავშირების მიერ მომზადებული ანგარიშები.

მოსალოდნელი ცვლილებების შესახებ ინფორმაციის გავრცელების მიზნით ჩატარდა მაღალი დონის კონფერენცია, რომელსაც ესწრებოდნენ შესაბამისი კერძო სექტორის წარმომადგენლები. თუმცა, დამატებითი კონსულტაციები კერძო სექტორთან არ ჩატარებულა. შესაბამისად, რესპოდენტთა ნაწილს, სამუშაო ვერსიის მიღებამდე, არ ჰქონდა ინფორმაცია დაგეგმილი ცვლილებების თაობაზე.

კანონპროექტის ტექსტის შემუშავება კანონპროექტის თავდაპირველი სამუშაო ვერსია მომზადდა შრომის საერთაშორისო ორგანიზაციის უცხოელი და ქართველი ექსპერტების მიერ. ამის შემდეგ ჩამოყალიბდა საჯარო და კერძო სექტორით დაკომპლექტებული სამუშაო ჯგუფი, რომელიც პრეზენტაციისა და მრგვალი მაგიდის ფორმატში განიხილავდა ცვლილებების პროექტს. კერძო სექტორის წარმომადგენლები ჩართული იყვნენ განხილვებში და წარადგენდნენ მათ კომენტარებს კანონპროექტზე. მათი კომენტარები განიხილებოდა საჯარო სექტორის და საერთაშორისო ექსპერტების მიერ, თუმცა მათი უკუკავშირი არ იყო სისტემატიზირებული. რესპოდენტთა აზრით პროცესი იყო ღია, თუმცა, საჯარო სექტორის მხრიდან უკუკავშირი და რეკომენდაციების გათვალისწინების ხარისხი იყო ნაკლებად დამაკმაყოფილებელი.	**1.8**
ინფორმაციის გავრცელება და კომენტარები საზოგადოების მხრიდან სამუშაო ვერსიის დასრულება დაემთხვა პანდემიის დაწყებას, ამ პერიოდში დოკუმენტი ტექნიკურად დაიხვეწა და ინიცირდა პარლამენტში. პროექტის ინიცირებამდე არ გამოქვეყნებულა საბოლოო სამუშაო ვერსია და არ ჩატარებულა მისი საჯარო განხილვა.	**0.5**
რეგულირების გავლენის შეფასება რეგულირების გავლენის შეფასების დოკუმენტი არ მომზადებულა. განმარტებითი ბარათი შეიცავს გარკვეულ ინფორმაციას ბიუჯეტზე კანონპროექტის შესაძლო გავლენის შესახებ.	**0.2**

კანონი: „ელექტრონული კომუნიკაციების შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილება **ავტორი: საქართველოს მთავრობის ადმინისტრაცია, საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისია** **ნომერი: 7065-რს** **თარიღი: 17/07/2020**	**0.90**

ინფორმაცია კანონპროექტზე: „ელექტრონული კომუნიკაციების შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილება დაჩქარებული წესით შევიდა. ცვლილების მიზანია კომისიას მიენიჭოს დამატებითი უფლებამოსილება, რომ კანონდარღვევის შემთხვევაში ეფექტიანად განხორციელდეს კომისიის გადაწყვეტილების აღსრულება. კერძოდ, იმ შემთხვევაში, თუ ელექტრონული კომუნიკაციის სფეროში მომუშავე პირი გაყიდის წილებს/აქციებს, კომისიის წინასწარი თანხმობის გარეშე, კომისია პირს მოსთხოვს თავდაპირველი მდგომარეობის აღდგენას, რისი დროული და ეფექტიანი აღსრულებისთვის კომისია უფლებამოსოლია განსაზღვრული ვადით დანიშნოს სპეციალური მმართველი. სპეცილურ მმართველს ენიჭება უფლება, რომ დანიშნოს/გაათავისუფლოს კომპანიის მმართველი პირები და შეზღუდოს მოგების, დივიდენდების გაცემა. ასევე, სადაო გახადოს მის დანიშვნამდე ბოლო 1 წელში განხორციელებული გარიგებები.	
პოლიტიკის ზოგადი მიმართულებების შემუშავება კერძო სექტორის წარმომადგენელთა ნაწილი ინფორმირებული იყო დაგეგმილი ცვლილებები თაობაზე. საკითხის თაობაზე კომუნიკაციის ეროვნულმა კომისიამ მოაწყო შეხვედრა ბაზრის ძირითად ოპერატორებთან. საკითხის დაჩქარებით გადაწყვეტის საჭიროებიდან გამომდინარე, ცვლილებების პროექტის მომზადებამდე არ შემუშავებულა ანალიტიკური დოკუმენტი, არ ჩატარებულა ფართომასშტაბიანი კონსულტაციები კერძო სექტორთან.	**1.3**
კანონპროექტის ტექსტის შემუშავება ცვლილებების პროექტი შემუშავდა საჯარო სექტორის მიერ, კერძო სექტორის მონაწილეობის გარეშე.	**0.3**

ინფორმაციის გავრცელება და კომენტარები საზოგადოების მხრიდან კერძო სექტორი ინფორმირებული იყო მოსალოდნელი ცვლილებების თაობაზე, თუმცა, ცვლილებების პროექტი გასაჯაროვდა პარლამენტში ინიცირების დროს. სწორედ ამ დროს ჩაერთო კერძო სექტორი განხილვებში. ცვლილებების ინიცირებამდე არ ჩატარებულა საჯარო განხილვები, ხოლო კერძო სექტორის წარმომადგენელთა ნაწილისთვის არ იყო დამაკმაყოფილებელი კომენტარების გათვალისწინების ხარისხი.	**1.8**
რეგულირების გავლენის შეფასება რეგულირების გავლენის შეფასების დოკუმენტი არ მომზადებულა. განმარტებითი ბარათი შეიცავს გარკვეულ ინფორმაციას ბიუჯეტზე კანონპროექტის შესაძლო გავლენის შესახებ.	**0.2**

2. კანონქვემდებარე ნორმატიული აქტების შეფასება

კანონქვემდებარე ნორმატიული აქტი: „საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის ბრძანება სავალუტო ბაზრის მონაწილეთა საქმიანობის წესის დამტკიცების შესახებ“ **ავტორი: საქართველოს ეროვნული ბანკი** **ნომერი: 142/04** **თარიღი: 21/07/2020**	**2.44**
ინფორმაცია აქტის თაობაზე: „საქართველოს ეროვნული ბანკის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის საფუძველზე მიღებული წესის მიზანია ხელი შეუწყოს საქართველოში კონკურენტული, გამჭვირვალე, სამართლიანი სავალუტო ბაზრის ჩამოყალიბებას და ადგენს სავალუტო ბაზრის მონაწილეთა ვაჭრობასთან, კლიენტებისთვის ინფორმაციის გაზიარებასთან დაკავშირებულ წესებს, ასევე, სავალუტო ბაზრის შეზღუდვებს, აკრძალვებს და საზედამხედველო ზომებს.	

პოლიტიკის ზოგადი მიმართულებების შემუშავება კერძო სექტორი ინფორმირებული იყო ნორმატიული აქტის საჭიროების და მომზადების თაობაზე. სამუშაო ვერსიის მომზადებამდე ჩატარდა მათთვის ტრენინგები აღნიშნულ თემატიკაზე. ექსპერტების მიერ მომზადდა ანალიზის დოკუმენტი, რომელიც არ იყო საჯარო, თუმცა კერძო სექტორის წარმომადგენლებს ჰქონდათ ინფორმაცია დოკუმენტის თაობაზე. ამ ეტაპზე მოხდა კანონქვემდებარე ნორმატიული აქტის კონცეფციის ჩამოყალიბება და განხილვა კერძო სექტორის წარმომადგენლებთან.	**2.5**
აქტის ტექსტის შემუშავება პირველადი სამუშაო ვერსია მომზადდა საქართველოს ეროვნული ბანკისა და უცხოელი ექსპერტების მიერ, რის შემდეგაც ფინანსური ბაზრების ხაზინათა ასოციაციის ბაზაზე ჩამოყალიბებულ სამუშაო ჯგუფში მოხდა მისი დამუშავება. კერძო სექტორი აქტიურად იყო პროცესში ჩართული, მომზადდა არაერთი შენიშვნა. საჯარო სექტორი ღია იყო კომუნიკაციისათვის. მუდმივად მიმდინარეობდა კომენტარებზე მსჯელობა, ხოლო გადაწყვეტილებები მიიღებოდა მხარეთა შეთანხმებით.	**2.3**
ინფორმაციის გავრცელება და კომენტარები საზოგადოების მხრიდან საბოლოო სამუშაო ვერსია არ გამოქვეყნებულა ვებგვერდზე, თუმცა ძირითად დაინტერესებულ მხარეებს ჰქონდათ წვდომა დოკუმენტზე. ამ ეტაპზე კვლავ ჩატარდა განხილვა სამუშაო ჯგუფში და შეჯერდა საბოლოო საკითხები. გადაწყვეტილებები შენიშვნების გათვალისწინების თაობაზე მიიღებოდა მხარეთა შეთანხმებით.	**2.5**
რეგულირების გავლენის შეფასება (ბონუსი) **NA**	—

კანონქვემდებარე ნორმატიული აქტი: „საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის ბრძანება საინვესტიციო ფონდის ავტორიზაციის, რეგისტრაციის, აღიარებისა და რეგულირების წესის დამტკიცების თაობაზე" **ავტორი: საქართველოს ეროვნული ბანკი** **ნომერი: 170/04** **თარიღი: 22/09/2020**	**2.36**
ინფორმაცია აქტის თაობაზე: წესი განსაზღვრავს საინვესტიციო ფონდების საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ ავტორიზაციის, რეგისტრაციისა და აღიარების პირობებსა და პროცედურას, აგრეთვე ადგენს საინვესტიციო ფონდების რეგულირებასთან დაკავშირებულ დამატებით მოთხოვნებს.	
პოლიტიკის ზოგადი მიმართულებების შემუშავება კერძო სექტორი ინფორმირებული იყო მოსალოდნელი ცვლილებების თაობაზე, როგორც „საინვესტიციო ფონდების შესახებ" კანონში არსებული ჩანაწერებიდან, ისე საქართველოს ეროვნულ ბანკთან კომუნიკაციიდან. კონცეფციის სამუშაო ვერსია მომზადდა უცხოელი ექსპერტის მიერ. კონცეპტუალურ საკითხებზე შედგა კონსულტაციები და დისკუსია საჯარო სექტორსა და კერძო სექტორს შორის.	**1.8**
აქტის ტექსტის შემუშავება რეგულაციის თავდაპირველი ტექსტი მომზადდა საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ, ხოლო შემდეგ დაეგზავნა კერძო სექტორის წარმომადგენლებს კომენტარებისათვის. საჯარო სექტორმა მიიღო კომენტარები კერძო სექტორის მხრიდან. კომენტარებზე უკუკავშირი ხდებოდა როგორც წერილობით, ისე ზეპირად, შეხვედრების ფორმატში. უკუკავშირი ძირითადად იყო არგუმენტირებული.	**3.0**
ინფორმაციის გავრცელება და კომენტარები საზოგადოების მხრიდან საბოლოო სამუშაო ვერსია გამოქვეყნდა საქართველოს ეროვნული ბანკის ვებგვერდზე და კომენტარების მიღების მიზნით გაზიარდა კერძო სექტორის წარმომადგენლებთან.	**2.3**

რეგულირების გავლენის შეფასება (ბონუსი) **NA**	—

კანონქვემდებარე ნორმატიული აქტი: „საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი ეროვნული კომისიის დადგენილება ელექტროენერგიის ბაზრის წესების დამტკიცების შესახებ" **ავტორი: სემეკი, ენერგეტიკული ბირჟა, საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემა** **ნომერი: 46** **თარიღი: 11/08/2020**	**2.22**

ინფორმაცია აქტის თაობაზე: დადგენილების მიზანია ელექტროენერგიის კონკურენტული ბაზრის განვითარებისა და სამართლიანი ფასის ფორმირებისათვის საჭირო სამართლებრივი გარემოს შექმნა, მათ შორის, ბაზარზე ახალი კონკურენტების შესვლის ხელშეწყობით; ეფექტიანი წარმოებისა და მოხმარების ხელშეწყობა, საათობრივი ვაჭრობის დანერგვით, რაც იძლევა მოთხოვნის მართვის შესაძლებლობას; მონაწილეებთან ფინანსური ანგარიშსწორების გამჭვირვალე, ეფექტიანი და საიმედო სისტემის ჩამოყალიბება. ეს წესები ვრცელდება ელექტროენერგიით დღით ადრე და დღიურ ბაზრებზე ვაჭრობაზე, რა დროსაც, გარიგების ერთი მხარეა მიმწოდებელი, მსხვილი მომხმარებელი, სისტემის ოპერატორი, მწარმოებელი ან ტრეიდერი, ხოლო მეორე - ბირჟის ოპერატორი. დადგენილება მომზადდა ბაზრის ოპერატორების მიერ, რის შემდეგაც გაიგზავნა მარეგულირებელ კომისიაში განსახილველად.	
პოლიტიკის ზოგადი მიმართულებების შემუშავება კერძო სექტორის წარმომადგენლები ინფორმირებული იყვნენ დადგენილების მიღების თაობაზე, რადგან აღნიშნული გამომდინარეობს „ელექტროენერგიისა და წყალმომარაგების შესახებ" კანონიდან. ამასთან ერთად, სამუშაო ვერსიის მომზადებამდე ჩატარდა შეხვედრა ბაზრის მონაწილეებთან, დადგენილების ძირითადი კონცეფციების და პრინციპების გაცნობის მიზნით.	**1.5**

აქტის ტექსტის შემუშავება დადგენილების პროექტი მომზადდა ბაზრის ოპერატორების მიერ უცხოელი ექსპერტების დახმარებით, რის შემდეგაც დოკუმენტის განხილვასა და კომენტარებში ჩაერთნენ კერძო სექტორის წარმომადგენლები. კერძო სექტორისთვის სამუშაო ვერსია ხელმისაწვდომი იყო სხვადასხვა წყაროებიდან. დაინტერესებულ მხარეებს ჰქონდათ შენიშვნებისა და მოსაზრებების დაფიქსირების საშუალება. მათი კომენტარები დიდწილად აისახა დოკუმენტში. კომენტარების გათვალისწინების შესახებ გადაწყვეტილება მიიღებოდა მხარეთა შეთანხმებით.	**2.2**
ინფორმაციის გავრცელება და კომენტარები საზოგადოების მხრიდან სამუშაო ვერსიის მომზადების შემდეგ დოკუმენტი გადაიგზავნა მარეგულირებელ კომისიაში, სადაც დოკუმენტი გამოქვეყნდა ვებგვერდზე და ჩატარდა რამდენიმე საჯარო განხილვა კერძო სექტორის მონაწილეობით. დაინტერესებულ მხარეთა კომენტარებზე გადაწყვეტილება მიიღებოდა საკითხის განხილვით და მხარეთა შეთანხმებით.	**3.0**
რეგულირების გავლენის შეფასება (ბონუსი) **NA**	—

კანონქვემდებარე ნორმატიული აქტი: „საქართველოს მთავრობის დადგენილება სათამაშოების უსაფრთხოების შესახებ ტექნიკური რეგლამენტის დამტკიცების თაობაზე" **ავტორი: სსიპ ბაზარზე ზედამხედველობის სააგენტო** **ნომერი: 47** **თარიღი: 20/01/2020**	**1.94**
ინფორმაცია აქტის თაობაზე: პროდუქტის უსაფრთხოებისა და თავისუფალი მიმოქცევის კოდექსის საფუძველზე მიღებული ტექნიკური რეგლამენტის მიხედვით ბაზარზე	

ზედამხედველობის ორგანო უფლებამოსილია შეამოწმოს საქართველოს ბაზარზე განთავსებული სათამაშოების შესაბამისობა ტექნიკური რეგლამენტის მოთხოვნებთან და გასცეს შესაბამისი რეკომენდაციები სათამაშოების შესაბამისობაში მოსაყვანად. ტექნიკური რეგლამენტი ვრცელდება იმპორტზეც. დადგენილების მიღების ვალდებულება აღებული იქნა საქართველოს ევროკავშირთან თავისუფალი ვაჭრობის შესახებ შეთანხმებით (DCFTA).	
პოლიტიკის ზოგადი მიმართულებების შემუშავება კერძო სექტორის ნაწილი ინფორმირებული იყო დაგეგმილი ცვლილების თაობაზე სამუშაო ვერსიის მომზადებამდე, რადგან ბაზარზე ზედამხედველობის სააგენტოს მიერ ჩატარდა შესაბამისი ევროპული დირექტივის ძირითადი პრინციპების გაცნობის შეხვედრა. ამასთან ერთად, სამუშაო ვერსიის მომზადებამდე შემუშავდა RIA და არსებული მდგომარეობის ანალიზი, თუმცა, კერძო სექტორს არ ჰქონდა ინფორმაცია ამის თაობაზე.	**1.7**
აქტის ტექსტის შემუშავება კანონპროექტის ტექსტი მომზადდა საჯარო სექტორის მიერ, თუმცა, ტექსტზე მუშაობის პარალელურად სააგენტო ატარებდა ტრენინგებს ევროკავშირის შესაბამისი დირექტივის თაობაზე, დედაქალაქსა და რეგიონებში. შეხვედრებზე ჟღერდებოდა ზოგადი ხასიათის კომენტარები კერძო სექტორიდან, შესაბამისად, არ მოხდა მათი კომენტარების ასახვა დადგენილებაში.	**1.8**
ინფორმაციის გავრცელება და კომენტარები საზოგადოების მხრიდან საბოლოო სამუშაო ვერსია გამოქვეყნდა ვებგვერდზე და ჩატარდა განხილვები დედაქალაქსა და რეგიონებში. კერძო სექტორს ჰქონდა კომენტარები, რომელთა ნაწილის გათვალისწინება არ მოხდა, ნაწილზე კი შედგა შეთანხმება მხარეებს შორის. აღსანიშნავია, რომ კერძო სექტორის ნაწილი პასიურობდა პროექტის განხილვის პროცესში და მხოლოდ დადგენილების მიღების შემდეგ გააქტიურდა კომენტარებისა და დადგენილებაში ცვლილებების მოთხოვნის თვალსაზრისით.	**2.8**
რეგულირების გავლენის შეფასება (ბონუსი) 2013 წელს მომზადდა RIA 13 პროდუქტზე მათ შორის სათამაშოებზე.	**1.5**

კანონქვემდებარე ნორმატიული აქტი: „საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი ეროვნული კომისიის დადგენილება გამანაწილებელი სისტემის ოპერატორის განცალკევების წესების დამტკიცების შესახებ'' **ავტორი: სემეკი** **ნომერი: 39** **თარიღი: 16/07/2020**	**1.50**
ინფორმაცია აქტის თაობაზე: დადგენილება შემუშავებულია „ენერგეტიკისა და წყალმომარაგების შესახებ“ საქართველოს კანონის საფუძველზე და ვრცელდება ელექტროენერგეტიკისა და ბუნებრივი გაზის სექტორების გამანაწილებელი სისტემების ოპერატორებზე. დადგენილების მიხედვით, გამანაწილებელი სისტემის ოპერატორი, რომელიც ინტეგრირებული საწარმოს ნაწილია, სამართლებრივი ფორმის, ორგანიზაციული მოწყობისა და გადაწყვეტილების მიღების თვალსაზრისით, დამოუკიდებელი უნდა იყოს სხვა ისეთი საქმიანობისგან, რომელიც განაწილებას არ უკავშირდება.	
პოლიტიკის ზოგადი მიმართულებების შემუშავება დადგენილების მიღების ვალდებულება აღებული იქნა ენერგეტიკისა და წყალმომარაგების შესახებ კანონით, რომელიც თავის მხრივ, ასოცირების ხელშეკრულებით და საქართველოს მიერ ენერგეტიკული გაერთიანების ქარტიასთან მიერთებით აღებული ვალდებულების ფარგლებში იქნა შემუშავებული. ყოველივე აქედან გამომდინარე დაინტერესებული მხარეები ინფორმირებული იყვნენ მოსალოდნელი ცვლილებების თაობაზე. დადგენილების ტექსტის მომზადებამდე არ შემუშავებულა წინასწარი ანალიტიკური დოკუმენტი და არ ჩატარებულა კონსულტაციები კერძო სექტორთან.	**0.3**
აქტის ტექსტის შემუშავება დადგენილების ტექსტი მომზადდა ენერგეტიკული გაერთიანების მიერ, რის შემდეგაც იგი გადამუშავდა სემეკის მიერ. არ ჩამოყალიბებულა დადგენილების ტექსტზე მომუშავე სამუშაო ჯგუფი, თუმცა სამუშაო ვერსიის განხილვა მოხდა კერძო სექტორის წარმომადგენლებთან. კერძო სექტორის წარმომადგენლებს ჰქონდათ კომენტარები, რომელზეც არგუმენტირებულ უკუკავშირს ახორციელებდა სემეკი როგორც წერილობით, ისე ზეპირად. კომენტარების დიდი ნაწილი იქნა ასახული დოკუმენტში.	**1.7**

ინფორმაციის გავრცელება და კომენტარები საზოგადოების მხრიდან საბოლოო სამუშაო ვერსია გამოქვეყნდა სემეკის ვებგვერდზე და ჩატარდა მისი საჯარო განხილვა. ამ შემთხვევაშიც იყო კომენტარები დაინტერესებული მხარეების მხრიდან, თუმცა შეხვედრის ფორმატი არ იძლეობა სრულფასოვანი, არგუმენტირებული განხილვის საშუალებას.	**2.5**
რეგულირების გავლენის შეფასება (ბონუსი) **NA**	—

კანონქვემდებარე ნორმატიული აქტი: „საქართველოს მთავრობის დადგენილება ინდივიდუალური დაცვის საშუალებების შესახებ ტექნიკური რეგლამენტის დამტკიცების თაობაზე" **ავტორი: სსიპ ბაზარზე ზედამხედველობის სააგენტო** **ნომერი: 82** **თარიღი: 06/02/2020**	**1.40**
ინფორმაცია აქტის თაობაზე: პროდუქტის უსაფრთხოებისა და თავისუფალი მიმოქცევის კოდექსის შესაბამისად მიღებული ამ წესის მიზანია განსაზღვროს ბაზარზე ხელმისაწვდომი ინდივიდუალური დაცვის საშუალებების დაპროექტებისა და წარმოების მოთხოვნები მომხმარებელთა ჯანმრთელობისა და უსაფრთხოების უზრუნველყოფის მიზნით. ინდივიდუალური დაცვის საშუალება დაპროექტებული და დამზადებულია ადამიანის მიერ სატარებლად/დასაჭერად/დასაკავებლად და განკუთვნილია ჯანმრთელობასა და სიცოცხლესთან დაკავშირებული რისკების თავიდან ასარიდებლად. დადგენილების მიღების ვალდებულება აღებული იქნა საქართველოს ევროკავშირთან თავისუფალი ვაჭრობის შესახებ შეთანხმებით (DCFTA).	
პოლიტიკის ზოგადი მიმართულებების შემუშავება კერძო სექტორს ჰქონდა ზოგადი ინფორმაცია მოსალოდნელი ცვლილებების თაობაზე, თუმცა არ ჩატარებულა წინასწარი კონსულტაციები მათთან. პირველადი სამუშაო ვერსიის მომზადებამდე შემუშავდა RIA, თუმცა, კერძო სექტორს არ ჰქონდა ინფორმაცია ამის თაობაზე.	**0.3**

აქტის ტექსტის შემუშავება ნორმატიული აქტის ტექსტი მომზადდა საჯარო სექტორის მიერ, თუმცა, ტექსტზე მუშაობის პარალელურად სააგენტო ატარებდა ტრენინგებს ევროკავშირის შესაბამისი დირექტივის თაობაზე, დედაქალაქსა და რეგიონებში. შეხვედრებზე ჟღერდებოდა არარელევანტური ხასიათის კომენტარები კერძო სექტორიდან. შესაბამისად, არ მოხდა მათი კომენტარების ასახვა დადგენილებაში.	**1.5**
ინფორმაციის გავრცელება და კომენტარები საზოგადოების მხრიდან საბოლოო სამუშაო ვერსია გამოქვეყნდა ვებგვერდზე და ჩატარდა განხილვები დედაქალაქსა და რეგიონებში. კერძო სექტორს ჰქონდა ზოგადი კომენტარები. შესაბამისად, მათი ასახვა ვერ მოხდა დადგენილებაში. აღსანიშნავია, რომ დადგენილების მიღებამდე კერძო სექტორის ჩართულობა და ინტერესი იყო დაბალი.	**2.3**
რეგულირების გავლენის შეფასება (ბონუსი) 2013 წელს მომზადდა RIA 13 პროდუქტზე მათ შორის ინდივიდუალური დაცვის საშუალებებზე.	**1.5**

კანონქვემდებარე ნორმატიული აქტი: „საქართველოს მთავრობის დადგენილება აირად საწვავზე მომუშავე მოწყობილობების შესახებ ტექნიკური რეგლამენტის დამტკიცების თაობაზე" **ავტორი: სსიპ ბაზარზე ზედამხედველობის სააგენტო** **ნომერი: 84** **თარიღი: 06/02/2020**	**1.40**
ინფორმაცია აქტის თაობაზე: პროდუქტის უსაფრთხოებისა და თავისუფალი მიმოქცევის კოდექსის საფუძველზე მიღებული ტექნიკური რეგლამენტის მიხედვით ბაზარზე ზედამხედველობის ორგანო უფლებამოსილია, შეამოწმოს საქართველოს ბაზარზე განთავსებული აირად საწვავზე მომუშავე მოწყობილობების შესაბამისობა ტექნიკური რეგლამენტის მოთხოვნებთან და გასცეს შესაბამისი რეკომენდაციები აირად საწვავზე მომუშავე მოწყობილობების შესაბამისობაში მოსაყვანად. აირად საწვავზე მომუშავე მოწყობილობა	

წვავს აირს და გამოიყენება საკვების მომზადების, გაციების, ჰაერის კონდიცირების, სივრცის გათბობის, ცხელი წყლის გენერირების, განათების ან რეცხვისთვის, ასევე ფორსირებული წვის ღუმელები და ის გამათბობლები, რომლებიც აღჭურვილია ამგვარი ღუმელებით. ტექნიკური რეგლამენტი ვრცელდება იმპორტზეც. დადგენილების მიღების ვალდებულება აღებული იქნა საქართველოს ევროკავშირთან თავისუფალი ვაჭრობის შესახებ შეთანხმებით (DCFTA).	
პოლიტიკის ზოგადი მიმართულებების შემუშავება კერძო სექტორის ჰქონდა ზოგადი ინფორმაცია მოსალოდნელი ცვლილებების თაობაზე, თუმცა არ ჩატარებულა წინასწარი კონსულტაციები. სამუშაო ვერსიის მომზადებამდე შემუშავდა RIA, თუმცა, კერძო სექტორს არ ჰქონდა ინფორმაცია ამის თაობაზე.	**0.3**
აქტის ტექსტის შემუშავება ნორმატიული აქტის ტექსტი მომზადდა საჯარო სექტორის მიერ, თუმცა, ტექსტზე მუშაობის პარალელურად სააგენტო ატარებდა ტრენინგებს ევროკავშირის შესაბამისი დირექტივის თაობაზე, დედაქალაქსა და რეგიონებში. სააგენტოს ინფორმაციით შეხვედრებზე ჟღერდებოდა არარელევანტური ხასიათის კომენტარები კერძო სექტორიდან. შესაბამისად, არ მოხდა მათი კომენტარების ასახვა დადგენილებაში.	**1.5**
ინფორმაციის გავრცელება და კომენტარები საზოგადოების მხრიდან საბოლოო სამუშაო ვერსია გამოქვეყნდა ვებგვერდზე და ჩატარდა განხილვები დედაქალაქსა და რეგიონებში. განხილვებზე კერძო სექტორს ჰქონდა ზოგადი კომენტარები, შესაბამისად, მათი ასახვა ვერ მოხდა დადგენილებაში. აღსანიშნავია, რომ დადგენილების მიღებამდე კერძო სექტორის ჩართულობა და ინტერესი იყო დაბალი.	**2.3**
რეგულირების გავლენის შეფასება (ბონუსი) 2013 წელს მომზადდა RIA 13 პროდუქტზე მათ შორის გაზზე მომუშავე მოწყობილობებზე.	**1.5**

კანონქვემდებარე ნორმატიული აქტი: „საქართველოს მთავრობის დადგენილება სურსათის/ცხოველის საკვების არაორგანიზებული წარმოების წესის დამტკიცების თაობაზე" **ავტორი: საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო** **ნომერი: 14** **თარიღი: 09/01/2020**	**1.19**
ინფორმაცია აქტის თაობაზე: სურსათის/ცხოველის საკვების უვნებლობის, ვეტერინარიისა და მცენარეთა დაცვის კოდექსის შესაბამისად მიღებული ამ წესის მიზანია იმ ფიზიკური პირის საქმიანობის ხელშეწყობა, რომელიც საქართველოს კანონმდებლობის თანახმად წარმოადგენს ოჯახური წარმოების სუბიექტს და ახორციელებს სურსათის/ცხოველის საკვების წარმოებას ან პირველად წარმოებას არაორგანიზებულად; წესის მიზანია შიდა ბაზრის ეფექტიანი ფუნქციონირების უზრუნველყოფა და მომხმარებელთა ინტერესების დაცვა.	
პოლიტიკის ზოგადი მიმართულებების შემუშავება სურსათის/ცხოველის საკვების უვნებლობის, ვეტერინარიისა და მცენარეთა დაცვის კოდექსიდან გამომდინარე დაინტერესებულ მხარეთა ნაწილი ინფორმირებული იყო დადგენილების მომზადების თაობაზე, თუმცა ამ ეტაპზე არ ჩატარებულა კონსულტაციები კერძო სექტორთან. საჯარო სექტორმა შეისწავლა ევროპული გამოცდილება, თუმცა კვლევა არ ჩამოყალიბებულა დოკუმენტის სახით.	**0.5**
აქტის ტექსტის შემუშავება დადგენილების სამუშაო ვერსია მომზადდა საჯარო სექტორის მიერ, კერძო სექტორის მონაწილეობის გარეშე. პროექტის შემუშავებამდე შესწავლილი იქნა ევროპული პრაქტიკა, რომლის შესახებაც ინფორმაცია გაჟღერდა განხილვების დროს, თუმცა დოკუმენტი არ იყო ხელმისაწვდომი დაინტერესებული მხარეებისათვის.	**0.3**
ინფორმაციის გავრცელება და კომენტარები საზოგადოების მხრიდან სამუშაო ვერსიის მომზადების შემდეგ დოკუმენტი გასაჯაროვდა ვებგვერდზე და ჩატარდა რამდენიმე საჯარო განხილვა დაინტერესებული	**2.8**

მხარეების მონაწილეობით დედაქალაქსა და რეგიონში. რესპოდენტებმა აღნიშნეს, რომ კერძო სექტორი არ იყო აქტიური შენიშვნების მხრივ, ხოლო საჯარო სექტორი არ იყო მზად შენიშვნების გასათვალისწინებლად.	
რეგულირების გავლენის შეფასება (ბონუსი) **NA**	—

3. მუნიციპალიტეტის ორგანოს ნორმატიული აქტების შეფასება

მუნიციპალიტეტის ორგანოს ნორმატიული აქტი: დადგენილება "ზუგდიდის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე რეგისტრირებულ (ადგილობრივი და დევნილი) პირთა ჯანმრთელობის დაცვის პროგრამის განხორციელების წესის დამტკიცების თაობაზე" **ავტორი: ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მერია** **ნომერი: 3** **თარიღი: 27/01/2021**	**1.39**
ინფორმაცია აქტის თაობაზე: დადგენილება მოიცავს ჯანდაცვის პროგრამის განხორციელების წესს, რომელიც ვრცელდება ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მაცხოვრებლებზე. წესი ადგენს თუ რა ინტენსივობითაა შესაძლებელი პროგრამით სარგებლობა, მათ შორის, სოციალურად დაუცველი და შშმ პირებისათვის. ასევე, დადგენილია პროგრამით გათვალისწინებულ მომსახურებებზე დაფინანსების გაცემის წესები და პირობები.	
პოლიტიკის ზოგადი მიმართულებების შემუშავება პირველადი ვერსიის მომზადებამდე ზუგდიდის მერიის წარმომადგენლებმა ჩაატარეს არაერთი შეხვედრა საზოგადოების სხვადასხვა ჯგუფთან, როგორც მუნიციპალიტეტის ცენტრში, ისე მის სოფლებში. შეხვედრების მიზანი საზოგადოების წინაშე ჯანდაცვის მიმართულებით არსებული გამოწვევების იდენტიფიცირება იყო, რათა გამოვლენილი საკითხები ასახულიყო დადგენილებაში.	**2.2**

აქტის ტექსტის შემუშავება დადგენილების სამუშაო ვერსია მომზადდა საჯარო სექტორის მიერ, კერძო სექტორის მონაწილეობის გარეშე.	**0.5**
ინფორმაციის გავრცელება და კომენტარები საზოგადოების მხრიდან მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის პროექტის განხილვის დროს მოხდა შესაფასებელი დადგენილების პროექტის განხილვა. პროექტის წარდგენისას კერძო სექტორი არ იყო აქტიური კომენტარების თვალსაზრისით. გამოითქვა ერთი შენიშვნა, რომელიც ანალიზის საფუძველზე მოგვიანებით აისახა დოკუმენტში.	**1.5**
რეგულირების გავლენის შეფასება (ბონუსი) **NA**	—

მუნიციპალიტეტის ორგანოს ნორმატიული აქტი: დადგენილება "ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მერისა და მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრების მიერ მუნიციპალიტეტის ამომრჩევლებთან საჯარო შეხვედრების მოწყობის წესის, ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მერისა და მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრის მიერ გაწეული მუშაობის ანგარიშის ფორმის დამტკიცების შესახებ“ **ავტორი: ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულო** **ნომერი: 8** **თარიღი: 30/04/2020**	**1.08**
ინფორმაცია აქტის თაობაზე: დადგენილებით შემუშავებულია მერისა და საკრებულოს წევრების ამომრჩევლებთან საჯარო შეხვედრების გამართვის წესები, რაც გულისხმობს ამომრჩეველთან შეხვედრების ვადების/გრაფიკის დადგენას და საკითხებს, რომლებიც ანგარიშში უნდა იყოს წარმოდგენილი. გარდა ამისა, დადგენილებით შემუშავებულია საკრებულოს წევრების საქმიანობის ანგარიშგების ფორმა.	

პოლიტიკის ზოგადი მიმართულებების შემუშავება დადგენილების მომზადებამდე, არასამთავრობო ორგანიზაციების ჩართულობით შემუშავდა ღიაობის, გამჭვირვალობის და კეთილსინდისიერების ამაღლების დოკუმენტი და მისი სამოქმედო გეგმა, რაც ითვალისწინებდა შესაფასებელი დადგენილების მომზადებას. შესაბამისად, კერძო სექტორის ნაწილი ინფორმირებული იყო მოსალოდნელი ცვლილების თაობაზე და თავადაც იყვნენ ამ ცვლილების ინიციატორი. დადგენილების მომზადების საწყის ეტაპზე არ ჩატარებულა კონსულტაციები საჯარო და კერძო სექტორს შორის.	**0.5**
აქტის ტექსტის შემუშავება ნორმატიული აქტის პირველადი ვერსია მომზადდა არასამთავრობო ორგანიზაცია - „დემოკრატიული განვითარების კავშირის" - მიერ. პირველადი ვერსიის მომზადების შემდეგ ჩატარდა რამდენიმე შეხვედრა არასამთავრობო ორგანიზაციასა და საკრებულოს წარმომადგენლებს შორის, დადგენილების ტექსტის განხილვისა და შენიშვნების გათვალისწინების მიზნით.	**2.0**
ინფორმაციის გავრცელება და კომენტარები საზოგადოების მხრიდან საბოლოო ვერსიის შემუშავების შემდეგ დოკუმენტი გამოქვეყნდა ვებგვერდზე და დაიწყო საჯარო ადმინისტრაციული წარმოება. თუმცა, არ ჩატარებულა საჯარო განხილვები. ასევე, საჯარო სექტორს არ მიუღია კომენტარები „დემოკრატიული განვითარების კავშირის" გარდა სხვა დაინტერესებული მხარეებისგან.	**0.8**
რეგულირების გავლენის შეფასება (ბონუსი) **NA**	—

დანართი I: გამოყენებული წყაროები

01 რეაბილიტაციისა და კრედიტორთა კოლექტიური დაკმაყოფილების შესახებ კანონ-პროექტის ფარგლებში შერჩეული საკითხების რეგულირების ზეგავლენის შეფასება, 2019, „რეაბილიტაციისა და კრედიტორთა კოლექტიური დაკმაყოფილების შესახებ“ (რეგისტრაციის № 07-2/457/9, დანართი) (parliament.ge)

02 „რეაბილიტაციისა და კრედიტორთა კოლექტიური დაკმაყოფილების შესახებ“ (რეგისტრაციის № 07-2/457/9, ინიციირებული ვარიანტი, განმარტებითი ბარათი) (parliament.ge)

03 „საინვესტიციო ფონდების შესახებ“ (რეგისტრაციის № 07-2/453/9, ინიციირებული ვარიანტი, განმარტებითი ბარათი) (parliament.ge)

04 „საქართველოს ორგანულ კანონში „საქართველოს შრომის კოდექსი“ ცვლილების შეტანის შესახებ“ (რეგისტრაციის № 07-3/448/9, I მოსმენა, განმარტებითი ბარათი) (parliament.ge)

05 საქართველოს მეწარმეთა შესახებ კანონპროექტის რეგულირების ზეგავლენის შეფასება, 2018, b8ebc060-2735-11ec-823f-db6b1f423efa.pdf (iset-pi.ge)

06 „მეწარმეთა შესახებ“ (რეგისტრაციის № 07-3/29/10, ინიციირებული ვარიანტი, განმარტებითი ბარათი) (parliament.ge)

07 „გარემოსდაცვითი პასუხისმგებლობის შესახებ“ (რეგისტრაციის № 07-2/501/9, ინიციირებული ვარიანტი, განმარტებითი ბარათი) (parliament.ge)

08 „ფინანსური გირავნობის, ურთიერთგაქვითვისა და დერივატივების შესახებ“ (რეგისტრაციის № 07-2/386/9, ინიციირებული ვარიანტი, განმარტებითი ბარათი) (parliament.ge)

09 „ელექტრონული კომუნიკაციების შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე“ (რეგისტრაციის № 07-2/494/9, ინიციირებული ვარიანტი, განმარტებითი ბარათი) (parliament.ge)

10 „ენერგეტიკისა და წყალმომარაგების შესახებ“ (რეგისტრაციის № 07-2/346/9, ინიციირებული ვარიანტი, განმარტებითი ბარათი) (parliament.ge)

11 Support to the development of Private and Administrative Law System in Georgia, Final report, GIZ, 2018

12 Better commercial law and legal practice in Georgia, Final report, GIZ, 2021

13 საქართველოს პარლამენტი, 2022, info.parliament.ge

14 საქართველოს საკანონმდებლო მაცნე, 2022, matsne.gov.ge

15 ზუგდიდის მუნიციპალიტეტის საკრებულო, 2022, zugdidi.gov.ge

16 ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულო, 2022, ozurgeti.mun.gov.ge

17 ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულო, 2022, batumicc.ge

18 ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო, 2022, economy.ge; dcfta.gov.ge

19 საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი ეროვნული კომისია, 2022, gnerc.org

20 გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო, 2022, mepa.gov.ge

21 საქართველოს ეროვნული ბანკი, 2022, nbg.gov.ge

22 გარემოსდაცვითი ინფორმაციისა და განათლების ცენტრი, 2021, eiec.gov.ge